

Image not found or type unknown

საიას სადამკვირვებლო მისია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს საიას 350-მდე წარმომადგენელი დააკვირდება. საიას მისია ჯამში უბნების შესამედს დაფარავს. ორგანიზაცია 8 რეგიონის 10 მუნიციპალიტეტში დააკვირდება არჩევნებს.

საიაში არჩევნების დღეს იმუშავენ რუსთავის, თელავის, გორის, ქუთაისის, ბუგდიდის, ოზურგეთის, ბათუმის რეგიონული და თბილისის ცენტრალური შტაბი, სადაც ყველა რეგიონის ინფორმაცია მოიყრის თავს.

საიაში იმუშავენ ცხელი ხაზი, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო პროცედურების, კენჭისყრის დღის დარღვევებისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ.

ცხელი ხაზის ნომერია: 577 36 15 20

საიას ეყოლება როგორც მობილური ჯგუფები ისე უბნის და პერიმეტრის დამკვირვებლები. ორგანიზაციის დამკვირვებლები იქნებიან საოლქო საარჩევნო კომისიებში და ცესკოში. ისინი საღამოს 8 საათიდან დაესწრებიან შემაჯამებელი ოქმებისა და დოკუმენტაციის მიღების პროცესს.

არჩევნების დღეს საია გამართავს სამ პრესკონფერენციას: 11:00, 16:00 და 21:00 საათზე. არჩევნების მიმდინარეობას ორგანიზაცია მედია ცენტრში 3 ოქტომბერს 12:00 საათზე შეაფასებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



??????????

???? :

?????

?????????

??????????????????

??????????????

??????????

577

07

05

00

PR@GYLA.GE